ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე რექტორის ## 99/01-01 და 100/01-01 ბრძანებების მიხედვით აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში, თსუ-ის აკადემიური საბჭოს #54/2020 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

შ ე მ ა ჯ ა მ ე ბ ე ლ ი ო ქ მ ი

თბილისი, 29 ივლისი, 2020 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: პროფესორი გიორგი გოგსაძე (კომისიის თავმჯდომარე), ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), პროფესორი იოსებ სალუქვაძე, ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი (კომისიის მდივანი).

დღის წესრიგი:

1. კონკურსის შედეგების შეჯამება;
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა;

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის პირველი (დოკუმენტების შესწავლა) და მეორე (გასაუბრების, ლექციის და კენჭისყრის) სხდომების შედეგები.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის თითო აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობდა პროფესორის თანამდებობაზე - ვაჟა ლორთქიფანიძე, ხოლო ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ვლადიმერ ჩხაიძე. კანდიდატებს წესრიგში ჰქონდათ საკონკურსოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. გასაუბრებაზე კანდიდატებმა თავი კარგად წარმოაჩინეს, საინტერესოდ ჩაატარეს ლექცია და ამომწურავად უპასუხეს დასმულ კითხვებს.

პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატთა ასარჩევად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის ოთხი წევრი.

კენჭისყრის შედეგები: ვაჟა ლორთქიფანიძე - მომხრე 4, მოწინააღმდეგე - 0.

ვლადიმერ ჩხაიძე - მომხრე 4, მოწინააღმდეგე - 0.

დაადგინეს:

1. ა) საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ფარული კენჭისყრით არჩეული იქნა ვაჟა ლორთქიფანიძე,
   ბ) საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ფარული კენჭისყრით არჩეული იქნა ვლადიმერ ჩხაიძე;

2. შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს.

პროფესორი გიორგი გოგსაძე

(კომისიის თავმჯდომარე)

ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია
(კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

პროფესორი იოსებ სალუქვაძე

ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი
(კომისიის მდივანი)